



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

## ბრძანება

№01/29-ო

17 ოქტომბერი 2013 წ.

შპს „სადაზღვევო კომპანია „ვესტის“ გაკოტრების საქმის წარმოების  
დასრულების თაობაზე

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 მარტის N 354-II ს ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, ამავე კანონის 33<sup>ე</sup> მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ 1-ლი და მე-17 მუხლების საფუძველზე:

### ვბრძანებ:

1. დასრულებულად იქნას გამოცხადებული შპს „სადაზღვევო კომპანია ვესტის“ გაკოტრების საქმის წარმოება.
2. შპს „სადაზღვევო კომპანია ვესტის“ მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება ჩაითვალოს მოუკითხავ რესურსად და გადავიდეს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მფლობელობაში მესაკუთრის გამოვლენის მიზნით.
3. მოხდეს შპს „სადაზღვევო კომპანია ვესტის“ ამოღება შესაბამისი რეესტრიდან.
2. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და წარედგინოს შპს „სადაზღვევო კომპანია ვესტის“ შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს.

4. აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. აღნიშნული ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ლაშა ნიკოლაძე

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი